



საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy

სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები

დამტკიცებულია

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali
Academy-ის დირექტორის
2014 წლის 01 თებერვლის № 06
ბრძანებით
დირექტორი

_____ ნ. თოლორაია

წარმოდგენილია
სამუშაო ჯგუფის მიერ

თბილისი
2014 წელი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მომზადებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი **Natali Academy-ის** (შემდეგში "აკადემია", ან/და „**Natali Academy**“) დირექტორის მიერ 2014 წლის 8 იანვრის N02 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ;

დამტკიცებულია **Natali Academy-ის** დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე.

დოკუმენტი ძალაშია დამტკიცების დღიდან;

პერიოდული შემოწმება წარმოებს აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

პროცედურის ცვლილება ხდება იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა წინამდებარე პროცედურა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|----|
| პროცედურის ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი | |
| ზოგადი დებულებები | 5 |
| მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება | |
| მუხლი 2. ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები | 5 |
| მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება | 5 |
| მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა | 6 |
| მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის მობილობა | 7 |
| მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება | 9 |
| მუხლი 6 ¹ . არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება | 12 |
| მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა | 10 |
| მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი | 12 |
| მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ნორმები | 13 |
| მუხლი 9 ¹ პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ჩარჩო (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის | 16 |
| მუხლი 10. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი | 14 |
| პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი | 17 |
| შეთანხმების ფურცელი | 18 |

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე პროცედურა შემუშავებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და არეგულირებს აკადემიის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორებიცაა: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი.
- 1.2. დოკუმენტი სავალდებულოა აკადემიის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტისათვის.
- 1.3. წინამდებარე პროცედურის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:
 - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/5 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127/5 „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ 22.07.2011 წ.
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/5 „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ 03.02.2011 წ.

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 1.1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის **Natali Academy** პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ პროცედურით განსაზღვრული წესების საფუძველზე.
- 1.2. აკადემიაში შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
- 1.3. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.
- 1.4. წინა საფეხურის არარსებობისას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს პროფესიული სტანდარტით და პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- 1.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს:
 - ა) ამ პროცედურის მე-2 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების მიღების ვადას;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას და ჩარიცხვის პირობებს;
 - გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას;
 - დ) სხვა საჭირო ინფორმაციას პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- 1.6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ამ პროცედურის მე-2 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების განხილვისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის და გასაუბრების საფუძველზე.
- 1.7. მომდევნო საფეხურის პროგრამაზე დაშვებისას შესაძლებელია, აპლიკანტის უპირატესობა განსაზღვროს პრაქტიკულ კომპონენტში მიღებული შეფასების ან გამოცდილების შესაბამისად. კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის უპირატესობის მინიჭების პირობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
- 1.8. გასაუბრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, აკადემია უზრუნველყოფს შედეგების ვებგვერდზე განთავსებას.
- 1.9. ამ აქტის მე-2 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების განხილვისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრისთვის და ამ მუხლის 1.6. და 1.7. პუნქტებით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აკადემიის დირექტორის ბრძანებით იქმნება მიმღები კომისია, რომელიც დადგენილი წესების გათვალისწინებით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს დირექტორს აპლიკანტის აკადემიაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის თაობაზე.
- 1.10. აკადემიის დირექტორი მიმღები კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტის აკადემიაში ჩარიცხვის შესახებ.

1.11. აკადემიას ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები, ამ მუხლის 1.10. პუნქტით გათვალისწინებული აქტის გამოცემიდან 7 დღის ვადაში, შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

მუხლი 2. ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები

2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტმა აკადემიას უნდა წარუდგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- აკადემიის დასახელებას;
- განმცხადებლის ვინაობას, მისამართს და სხვა საკონტაქტო მონაცემებს;
- მოთხოვნის შინაარსს;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
- განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განსაზღვრულია აკადემიის მიერ. (განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს აკადემიას ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას).

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

დ) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - წინა საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის ფლობის დოკუმენტი, ან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.2. ამ მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, აკადემიას უფლება აქვს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

3.1. აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება წარმოებს ამ პროცედურით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.

3.2. სწავლების სამსახურის მენეჯერის ან სკოლის მენეჯერის შუამდგომლობით აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) აკადემიური შევებულება;

ბ) ავადმყოფობა;

გ) პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების არსებითი პირობის/პირობების დარღვევა;

დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ვ) აკადემიის წინაშე არსებული შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები;

3.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 1 წლის ვადაში არ მიმართავს აკადემიას სტატუსის აღდგენის მოთხოვნით, პირს პროფესიული სტუდენტის სტატუსი უწყდება;

3.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში პროფესიულ სტუდენტსა და აკადემიას შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

3.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ საფეხურიდან, რომელ საფეხურზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

3.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩათვლება სწავლის საფასურში;

3.7. სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის, გარდა საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული მოთხოვნებისა;

3.8. მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება სტატუსის შეჩერების საფუძველი აკადემიის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

4.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა წარმოებს ამ პროცედურით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.

4.2. სწავლების სამსახურის შუამდგომლობით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ა) თუ პროფესიული სტუდენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ვერ მოაგროვებს კრედიტების ნახევარს მაინც;
- ბ) თუ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის ხელახლა გავლის შემდეგ პროფესიული სტუდენტი მიიღებს არადაამაკმაყოფილებელ (უარყოფით) შეფასებას ან ვერ მიიღებს შეფასებას;
- გ) აკადემიის შინაგანაწესის ან ეთიკისა კოდექსის უხეში დარღვევის შემთხვევაში;
- დ) წინამდებარე პროცედურის 3.3. პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე გარდა ამავე პროცედურის მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- ვ) პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;
- ზ) პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.
- თ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას;
- ი) გარდაცვალება;

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის მობილობა

- 5.1. მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს აკადემიის სწავლების სამსახური.
- 5.2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების ერთი საფეხურის ან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- 5.3. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის ვადაში. აღნიშნული წესიდან გამონაკლისს ადგენს აკადემიის დირექტორი კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვის შედეგად.
- 5.4. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ან შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
- 5.5. მობილობის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს აკადემიის დირექტორს. მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, განათლების საფეხურის და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ, ხოლო მოდულური ჩარჩო პროგრამის შემთხვევაში, პირი წარმოადგენს გავლილი მოდულების დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების/კომპეტენციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
- 5.6. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვისა და პროგრამასთან თავსებადობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის დირექტორი გამოსცემს ბრძნებას მობილობის მსურველი პირის აკადემიაში ჩარიცხვის შესახებ.

5.8. მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა ვაკანტური ადგილების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდება, აკადემია უფლებამოსილია, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება და მათი საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

5.9. აკადემიიდან პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით გადასვლისას სათანადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიმართვიდან არაუგვიანეს 7 დღისა გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი დაწესებულებაში ჩარიცხვა, ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება

6.1. აკადემიის სწავლების სამსახური ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, ხოლო, მოდულური პროგრამების შემთხვევაში, მოდულის გავლის/კომპეტენციის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შეთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. საგნობრივი პროგრამების ფარგლებში აღიარებას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით; მოდულური პროგრამის ფარგლებში, პირის მიერ კომპეტენციების დადასტურების შემთხვევაში, აკადემია აღიარებს კრედიტს.

6.2. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა) მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ) თუ ერთი და იგივე საფეხურზე აკადემიის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია იგივე ან ნაკლები კრედიტი, ვიდრე იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამით საიდანაც გადმოდის პროფესიული სტუდენტი;

გ) თუ შინაარსობრივად, გავლილი ორი ან მეტი სასწავლო კურსი შინაარსობრივად აკადემიის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე სასწავლო კურსს ემთხვევა;

6.3. აღიარება ფორმდება აკადემიის შესაბამისი არგუმენტირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების/მოდულების რაოდენობა და კომპეტენციის შინაარსი. ამასთან, სწავლების სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/მოდულით დადგენილი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი ექვემდებარება ხარისხის მართვის სამსახურთან შეთანხმებას, რაც მოწმდება სამსახურის უფროსის ხელმოწერით; ხარისხის

მართვის სამსახურის გადაწყვეტილება და პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის დირექტორს.

6.4. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან და ათვისებული კომპეტენციებიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტი მობილობის წესით აკადემიის დირექტორის ბრძანებით ჩარიცხება სათანადო საფეხურის პროფესიულ სტუდენტად საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ჩარიცხვის წინაპირობების გათვალისწინებით.

6.5. ბრძანება მობილობის წესით პირის ჩარიცხვის შესახებ შეიტანება საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში ამ აქტის პირველი მუხლის 1.11. პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 6¹. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება

6¹.1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

6¹.2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

6¹.3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს აკადემიის დირექტორი ბრძანებით შექმნილი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია (შემდეგში – კომისია), რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი
- ბ) კოლეჯის დამფუძნებელი
- გ) შეაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი
- დ) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი

6¹.4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა დაწესებულებას უნდა წარუდგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობისა ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

დ) ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დაწესებულებას უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

6¹.5. განცხადების განხილვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კომისიის მიერ ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლას (არსებობის შემთხვევაში), გამოცდის ორგანიზებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას:

ა) კომისია ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც

აღინიშნება: ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

ბ) წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, ამზადებს დასკვნას (კომისიის სხდომის ოქმის სახით) არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, რომელსაც წარუდგენს კოლეჯის დირექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

6¹.6. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

- ა) დაწესებულების დასახელებას;
- ბ) განმცხადებლის ვინაობას;
- გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
- დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფაზურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;
- ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
- ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

6¹.7. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

6¹.8. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

7.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

7.2. აკადემიის რეალიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგ. სასწავლო კურსის დამატება, სპეციალიზაციის ჩანაცვლება, გაუქმება) შეტანის ან საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ცვლილებები არ ვრცელდება საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილ სასწავლო კურსებსა და მოპოვებულ კრედიტებზე;

7.3. აკადემიის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ხარისხის მართვის სამსახური, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია წარუდგინოს აკადემიის დირექტორს.

7.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნისა და აკადემიის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია გადადის მიღვევად რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

7.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა არჩევანის საშუალება:

- ა) პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძოს მოდიფიცირებულ პროგრამაზე;
- ბ) პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, პროგრამის გაუქმებამდე აკადემიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმება და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმება და/ან ანალოგიურ პროგრამაზე გადაყვანა, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
- გ) პროგრამის გაუქმებისას, სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში, აკადემიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისი არაფორმალური განათლების შეთავაზება-სწავლებას და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, შესაბამის სტრუქტურებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებით არაფორმალური განათლების აღიარებას.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი

- 8.1. პროფესიული სტუდენტის საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).
- 8.2. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
- 8.3. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა/ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.
- 8.4. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.
- 8.5. კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.
- 8.6. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ პროცედურის 9.7. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
- 8.7. კრედიტების განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო პროფესიული მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად;

- 8.8. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით, გარდა პრაქტიკის კომპონენტისა;
- 8.9. პროფესიული სტუდენტის კვირული დატვირთვა გულისხმობს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.
- 8.10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეადგენს თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტების ერთობლიობას, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირებით.
- 8.11. სასწავლო კვირაში დღეების რაოდენობას და მეცადინეობის განრიგს/კალენდარს ამტკიცებს აკადემიის დირექტორი, მის საჯაროობასა და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფზე პასუხისმგებლობა ეკისრება სწავლების სამსახურს.
- 8.12. სწავლების სამსახურის შუამდგომლობისა და ხარისხის მართვის სამსახურის გადადაწყვეტილების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდში მეცადინეობათა განრიგში/კალენდარში დასაშვებია ცვლილებების განხორციელება, რომელსაც ამტკიცებს აკადემიის დირექტორი.

მუხლის 9. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ნორმები

- 9.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- 9.2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.
- 9.3. შეფასება დამოკიდებულია მისაღწევ მიზანზე და სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია. მათი შეფასება შესაძლებელია მოხდეს შეფასების სხვადასხვა ხერხით (ფორმით). პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
- ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას;
- 9.4. შუალედური შეფასებ(ებ)ის და დასკვნითი გამოცდის ხვედრით წილს საბოლოო შეფასებაში განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.
- 9.5. შუალედური შეფასება შეიძლება ჩატარდეს ტესტის, საკითხების წერილობითი დამუშავების, ზეპირი გამოკითხვა, სამუშაოს შესრულების ან სხვა ფორმით;
- 9.6. დასკვნითი გამოცდა კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს წერითი, კომბინირებული წერა/ზეპირი ან სხვა სახით. დასკვნით გამოცდაზე პროფესიულ სტუდენტს მოეთხოვება განვლილი მასალის ცოდნის, შეძენილი უნარების-ჩვევების დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ტესტი (ღია/დახურული კითხვები), საკითხები, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია და სხვა.
- 9.7. შეფასების სისტემა უშვებს:
- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9.8. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

9.9. ამ მუხლის 9.7. პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე;

9.10. პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულის დაჯამებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

9.11. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

9.12. დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს:

ა) შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

ბ) ეძლევა საშუალება სასწავლო კურსი გაიაროს ინდივიდუალურ რეჟიმში ხელახალი დაფინანსებით, დირექტორის მიერ დადგენილი ტარიფის მიხედვით;

გ) შეუძლია ისარგებლოს მობილობით.

9.13. პროფესიული სტუდენტის შეფასება განისაზღვრება მრავალი კომპონენტით, რომელთა შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს ამა თუ იმ სასწავლო კურსის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო კურსის სილაბუსში.

9.14. შუალედური შეფასებები და მისი ცალკეული კომპონენტები დადებითად ფასდება განსაზღვრული ქულების 50% ან მეტი დაგროვების შემთხვევაში.

9.15. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა სრულად შესრულება;

9.16. კვალიფიკაციის მინიჭებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს პრაქტიკის კომპონენტის დასკვნითი გამოცდა, რომელიც წარმოებს კომისიასთან. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.

9.17. როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის ფორმატს (გარდა პრაქტიკის დასკვნითი გამოცდისა) განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი აკადემიაში შემოღებული შეფასების ერთიანი წესის ფარგლებში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი შეფასების ფორმატი აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს.

9.18. შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ხარისხის მართვის სამსახურს.

9.19. პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და სილაბუსის გაცნობა წარმოადგენს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 9¹ პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ჩარჩო (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

9¹.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

9¹.2. სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად.

9¹.3. მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს და ადგენს მოდულის ხელმძღვანელი მოდულის მტკიცებულებისა და შეფასების მიმართულების გათვალისწინებით.

9^{1.4}. შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომლებიც ემსახურებიან სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას;

9^{1.5}. ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს.

9.6. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

9^{1.7}. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

9^{1.8} მოდულის სწავლისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

9^{1.9} განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, დამატებითი დადასტურების პირობებს დაწესებულება განიხილავს ყოველი კონკრეტული შემთხვევისას, სხვა მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით.

9^{1.10}. პროფესიული განათლების მასწავლებელმა/შემფასებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს შეფასების პროცესი და შეფასების ინსტრუმენტები წინასწარ წარუდგინოს ხარისხის მართვის სამსახურს.

9^{1.11}. დაუშვებელი ხარისხის მართვის სამსახურთან შეთანხმების გარეშე, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

9^{1.12}. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის, ფოტომასალის ან სხვა რელევანტური საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს აკადემიის სწავლების სამსახურს/სკოლას პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად.

9^{1.13}. შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ხარისხის მართვის სამსახურს.

9^{1.14}. პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმსაზღვრელი წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 10. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი

10.1. კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების სრულად შესრულება.

10.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების სრულად შესრულებისა და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, გაიცემა პროფესიული დიპლომი. პროფესიულ დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი, სადაც აღწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განვლილი სასწავლო კურსები/მოდულები, შეფასებები, ასევე სწავლის შედეგები.

10.3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა მოცემული საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო ცნობა გავლილი სასწავლო კურსების შესახებ.

10.4. პირს, რომელმაც ვერ ან არ დაასრულა/დაადასტურა ჩარჩო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულები სრულად, გაიცემა სერთიფიკატი, იმ მოდულებზე, რომელთა მისაღწევი შედეგებიც სრულადაა დადასტურებული.

10.5. პირს, რომელმაც გაიარა მხოლოდ ცალკე მოდული, მოდულით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების დადასტურების საფუძველზე გაიცემა სერთიფიკატი.

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მასალები

11.1. საგანმანათლებლო პროგრამების საჭირო მასალებით დროულად უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აკადემიის სწავლებისა და სკოლის მენეჯერებს.

11.2. სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალების მოთხოვნის შესახებ სტილისტთა სკოლის მენეჯერი ახდენს სტუდენტთა რაოდენობისა და სასწავლო კურსის/მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მასალების კალკულაციას და მოთხოვნას წარუდგენს სწავლების სამსახურს ან/და აკადემიის ადმინისტრაციას.

11.3. სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალები ინახება აკადემიის სასწავლო სტუდია-სალონში, მათი შენახვის წესების დაცვით.

11.4. სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალების შენახვასა და გახარჯვის აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია აკადემიის სასწავლო სტუდია-სალონის მენეჯერი.

